USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

ბიულეტენი

მართლმსაჯულების სისტემის მხარდაჭერა

I გამოცემა
იანვარი -აგვისტო, 2022

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საგენტო (USAID) და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) აგრძელებენ პარტნიორობას საქართველოში სამართლის უზენაესობის გაძლიერების კუთხით.

ახალი, პროგრამის მიზნების და აქტივობების წარდგენის მიზნით, 1 აპრილს (ბათუმი) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტმა ჰიბრიდული ღონისძიება გამართა, რომელშიც სასამართლოების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და მედიის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

USAID-ის მიერ დაფინანსებული (25 მილიონი აშშ დოლარი) ახალი, ხუთწლიანი (2022-2026) სამართლის უზენაესობის პროგრამის მიზანია, კანონის უზენაესობის გაძლიერება მართლმსაჯულების ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის, საზოგადოების ყველა ფენისთვის მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, და ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებზე მოქალაქეთა და ინსტიტუციური ზედამხედველობის გაძლიერების გზით.

“შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის გაწეული ყველა დახმარების - მათ შორის კანონის უზენაესობის მიმართულებით - მთავარი მიზანია, რომ საქართველო გახდეს ძლიერი დემოკრატიის მქონე, სტაბილური და წარმატებული პარტნიორი. სამართლის უზენაესობის ახალი პროგრამა ეფუძნება იმ ნაყოფიერ სამუშაოს, რომელიც ჩვენ ერთად გავწიეთ მრავალი წლის განმავლობაში. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებას მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების გზით.”

პიტერ ვიბლერი
USAID/საქართველოს მისიის
დირექტორი

„ჩვენი მიზანია გადავიტანოთ მართლმსაჯულების რეფორმის ფოკუსი (რომელიც ორიენტირებულია ინსტიტუციების მხარდაჭერაზე) ადამიანებზე, და გავაძლიეროთ საზოგადოების სასამართლო ინსტიტუტებთან და მართლმსაჯულებაზე წვდომა. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინდივიდების, უმცირესობების და სოციალურად დაუცველი ჯგუფების მართლმსაჯულების საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე ცალკეულ მოსამართლეებთან და სასამართლოებთან თანამშრომლობას, რათა მოხდეს ცვლილებები, რომლებიც სარგებელს მოუტანს ყველა იმ ადამიანს ვინც საქართველოშია.”

მარკ დიტრიხი
აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი

ღონისძიებაზე გამომსვლელებს შორის იყვნენ: USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი **გიორგი ჩხეიძე,** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **მერაბ ტურავა**, სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ხელმძღვანელი **მადონა ბასილაძე**, სოციალური სამართლიანობის ცენტრის პროგრამის დირექტორი/კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის თავმჯდომარე **გურამ იმნაძე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მერაბ ხალვაში**, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე **დავით ასათიანი,** საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი ყანდაშვილი**, და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი **რაჟდენ კუპრაშვილი**.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ მოსამართლის დღე აღნიშნა

16 მაისს, სამართლის სკოლის ჩვიდმეტი სტუდენტი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მონაწილეობდა მოსამართლეთა დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში სახელწოდებით - სასამართლოს შესახებ კითხვების დრო სტუდენტებისთვის.

ღონისძიების მონაწილეებს შორის იყვნენ მოსამართლეები **ხათუნა ჯინორია** და **თამარ ხაჟომია** თბილისის საქალაქო სასამართლოდან, **ბადრი ნიპარიშვილი** თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოდან და **ქეთევან მესხიშვილი** თბილისის საააპელაციო სასამართლოდან. დისკუსიის მოდერაციას უძღვებოდა იურიდიული კომპანია გრატა ინტერნეშენალ ჯორჯიას (ყოფილი - კორძახია და ჟღენტი) პარტნიორი **ირაკლი კორძახია**.

„ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსამართლეები მოქმედებენ, როგორც მათი საზოგადოების ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღებნი. სამართლის სტუდენტები, როგორც ქვეყნის მომავალი მოსამართლეები, მზად უნდა იყვნენ დასაბუთებული, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, უნდა იყვნენ ზეწოლისა და კორუფციისგან თავისუფალნი. ისინი ასევე პასუხისმგებელნი იქნებიან სასამართლოებსა და საზოგადოებას შორის ჩართულობის და ნდობის გაძლიერებაზე. როგორც საქართველოს ძლიერმა მოკავშირემ მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მრავალ სფეროში, აშშ-მა დიდი ინვესტიცია ჩადო თქვენში, თქვენს იურიდიულ განათლებაში და ქვეყნის სასამართლო სისტემის გაძლიერებაში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ გამოიყენებთ მსგავს ღონისძიებებს, რათა მოემზადოთ თქვენი მომავალი პასუხისმგებლობებისთვის.”

კელი დეგნანი
ამერიკის შეერთებული შტატების
ელჩი საქართველოში

კითხვების დასმამდე მონაწილეებმა ვრცლად ისაუბრეს სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის შესახებ, ეთიკურ პრობლემებზე, მოსამართლის პროფესიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში განხორციელებულ უახლეს ცვლილებებზე და მოსამართლეთა მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელებზე.

ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფი მუშაობას შეუდგა

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებისგან შემდგარი ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა (21-22 მაისი, 2022).

შეხვედრამ ჯგუფის 20-ზე მეტ წევრს საშუალება მისცა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ მათი გამოცდილება ქალთა უფლებების საკითხებზე, გამოეკვეთათ პრაქტიკაში არსებული ძირითადი პრობლემური საკითხები და ემსჯელათ, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხების გადაჭრა არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მრჩეველმა **ეკა ბოკუჩავამ** წარმოადგინა USAID კანონის უზენაესობის წინა პროექტის, USAID/PROLoG-ის მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ქალთა უფლებებთან, მათ შორისაა საკანონმდებლო

სივრცის გაუმჯობესება და გაძლიერება, ქალთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება, ქალთა უფლებები და პროფესიული უნარების გაძლიერება.

დისკუსიებს უძღვებოდნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის სასამართლო რეფორმის მრჩეველი **ინგა თოდრია** და პროგრამის სასამართლო რეფორმის სპეციალისტი **ეკა ონიანი**, პრაქტიკის ჯგუფის წევრ მოსამართლეებთან - **ქეთევან ბერეკაშვილთან** (გორის რაიონული სასამართლო), **გულიკო ყაჟაშვილთან** (ბათუმის საქალაქო სასამართლო), **თამარ ონიანთან** (თბილისის სააპელაციო სასამართლო) და **ნინო ბაქაქურთან** (საქართველოს უზენაესი სასამართლო) კოორდინაციით.

მოსამართლეთა ტრენინგები სტრესის და დროის მართვაში

მოსამართლის ყოველდღიური საქმიანობა დაკავშირებულია რთულ ფსიქოლოგიურ გარემოსთან დაშესაბამისად, სასამართლოს ეფექტურობა დამოკიდებულია სტრესისა და დროის სწორად მართვაზე. ამან განაპირობა სამართლის უზენაესობის პროგრამას დაეწყო სასამართლო გაცვლის კომპონენტი (JudEx) ტრენინგების სერიით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რაიონული სასამართლოების, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და ახალციხის რაიონული სასამართლოს ოცდათოთხმეტი მოსამართლე და Judex-ის კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ ორდღიან ტრენინგში სტრესისა და დროის მენეჯმენტის თემაზე (28-29 მაისი; 8-9 ივლისი).

სესიები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა: სტრესის წყაროს და ყოფითი სტრესის ნიშნების იდენტიფიცირება; პროფესიული სტრესი და გადაწვა; პროფესიული სტრესის რისკ-ფაქტორები და მისი იდენტიფიცირება; სტრესის მართვის ტექნიკა; და პროფესიული გადაწვის პრევენცია. ტრენინგი ასევე ფოკუსირებული იყო დროის მენეჯმენტის პრინციპებზე და მოსამართლეებს შეასწავლა არაერთი ტექნიკა, რომელიც დაეხმარება მათ დროის მართვაში.

ამერიკელმა მოსამართლემ ქართველი მოსამართლეებისთვის გრძელვადიანი მენტორობის პროგრამა დაიწყო

მრავალწლიანი სამოსამართლო პრაქტიკის მქონე ამერიკელმა მოსამართლემ, **ჯეიმს რედვაინმა** დაიწყო მენტორობის პროგრამა ქართველი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლეებისთვის.

მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში მოსამართლე რედვაინი დააკვირდება სასამართლო პროცესებს, შეხვდება ადგილობრივ მოსამართლეებს და გაიცნობს ამერიკული იურისპრუდენციის ისეთ საკითხებს, რომლებიც მათთვის იქნება მნიშვნელოვანი და საინტერესო.

აღნიშნული აქტივობები ძირითადად ბათუმის საქალაქო სასამართლოში განხორციელდება, თუმცა ასევე მოიცავს ხელვაჩაურის რაიონულ, და ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მაგისტრატ სასამართლოებსაც.

სამუშაო ჯგუფის წევრი მოსამართლეები სტუდენტებს შეხვდნენ ქალთა უფლებებზე სასაუბროდ

18 ივლისს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები **თამარ ხაჟომია, თამარ ლაკერბაია** და **ირაკლი კოპალიანი** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ ქალთა უფლებების სფეროში აქტუალური საკითხების განსახილველად.

შეხვედრა მოსამართლეების თამარ ხაჟომიასა და თამარ ლაკერბაიას ინიციატივით, სამართლის უზენაესობის პროგრამის ქალთა უფლებების პრაქტიკის ჯგუფში ჩართულობის ფარგლებში გაიმართა. მოსამართლეებმა შეკრებილ აუდიტორიას გაუზიარეს ამ მიმართულებით არსებული სასამართლო პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში ქალთა უფლებების სფეროში.

შეხვედრას 55-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო, რამაც მათ საშუალება მისცა მოსამართლეებისგან გასცნობოდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ქალთა განათლებისა და პროფესიული განვითარების უფლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისკრიმინაციის შესახებ არსებული სასამართლო პრაქტიკა, განათლების მნიშვნელობა სექსუალური შევიწროების პრევენციაში, რეაგირება სექსუალური შევიწროების დროს და მამაკაცთა როლი ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობაში.

სასწავლო ვიზიტი ირლანდიასა და ინგლისში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების თემაზე

2022 წლის ივნისში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამისა და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (GCNG) ორგანიზებით, ირლანდიასა და ინგლისში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების (ADR) თემაზე 10-დღიანი სასწავლო ტური გაიმართა, რომელშიც საქართველოს მედიატორთა ასოციაციის, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და ქართველი მოსამართლეები მონაწილეობდნენ.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ირმა ტოგონიძე**, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ვერა დობორჯგინიძე**, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე **ირაკლი ყანდაშვილი**, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის თავმჯდომარე **ჯაბა გველებიანი** და თიბისი ბანკის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე **ნათია გიკოშვილი**. სასწავლო ტურის ორგანიზატორები იყვნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ADR მრჩეველი - **სოფო ტყემალაძე**, ხოლო GCNG-ის მხრიდან კი - **სალომე ზურაბიშვილი**, **ლანა ჩხარტიშვილი** და **კონსტანტინე შუბითიძე**.

სასწავლო ვიზიტისას შეხვედრები გაიმართა წამყვან პრაქტიკოსებთან, იურისტებსა და ADR-ის მომხმარებლებთან, რომლებმაც დავის არასასამართლო გზით გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმების, ADR-ის საუკეთესო პრაქტიკის, ასევე და მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენების ხელშეწყობის ინსტრუმენტების შესახებ მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

მედიატორთა და მოსამართლეთა შეხვედრა

2022 წლის 30 მაისსა და 27 ივლისს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელშეწყობით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებსა და მედიატორებს შორის შეხვედრები გაიმართა.

ათ მოსამართლესა და თერთმეტ მედიატორს საშუალება მიეცა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ესაუბრათ მედიაციაზე მათი მოლოდინების შესახებ, განეხილათ, თუ რა ტიპის საქმეები მიესადაგება ყველაზე უკეთ მედიაციას, ემსჯელათ იმ ეტაპებისა და მეთოდების შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია დავაში მონაწილე მხარეთა დარწმუნება, რომ ცადონ მედიაცია.

შეხვედრებზე მოსამართლეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათ სხვა სასამართლოებში მომუშავე კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, ასევე ხაზი გაუსვეს მათი თანაშემწეების შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროებას მედიაციაში, რათა მათ შეეძლოთ მხარეებისთვის მედიაციის სარგებლის ახსნა. კიდევ ერთი საკითხი, რომლის საჭიროებაც ყველა დამსწრემ აღნიშნა, იყო როგორც მედიაციის, როგორც პროცესის, ისე მედიატორების, როგორც პროფესიონალების ცნობიერების ამაღლება, რათა სასამართლო პროცესში ჩართული მხარეები და მათი წარმომადგენლები უფრო ღია იყვნენ მედიაციის მიმართ.

ტრენინგი ხაშურის რაიონული სასამართლოს თანამშრომლებისათვის

8-9 და 21-22 მაისს, ხაშურის და ხელვაჩაურის რაიონული და ბათუმის საქალაქო სასამართლოების ოცდაცხრამეტმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში ეფექტური მომსახურებისა და სასამართლოს მომხმარებლებთან კომუნიკაციის შესახებ.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის, საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველმა, სამართლის დოქტორმა **თიმ ბუნიევაცმა** ჩაატარა სესია სასამართლოსა და საზოგადოების ჩართულობის პრაქტიკის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე. მონაწილეები გაეცნენ სასამართლოს აქტივობების წარმატებულ მაგალითებს, რომლებიც სასამართლოს გარეთ იწარმოებოდა და რომლებიც შექმნილია სასამართლოების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით.

ადგილობრივი ექსპერტის **ნინო ბერუაშვილის** ხელმძღვანელობით ტრენინგ პროგრამამ გააერთიანა ეფექტური კომუნიკაციისა და კლიენტთა მომსახურების თანამედროვე მიდგომები პრაქტიკულ სავარჯიშოებთან, სადაც თითოეულ ინდივიდს გამოწვევად ესახება გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები შედეგის მისაღწევად. პრაქტიკული მაგალითებისა და რჩევების გამოყენებით მონაწილეებმა შეისწავლეს და განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა სასამართლოს მომხმარებლებთან ეფექტური კომუნიკაციის ბარიერები, საკითხისადმი მიკერძოება, ურთიერთობის დამყარება, აქტიური მოსმენა, არავერბალური კომუნიკაცია, პოზიტიური ფორმირება და რთული სიტუაციების მართვა. ექსპერტმა მონაწილეებს ასევე წარუდგინა მომხმარებელთან ურთიერთობის წერილობითი სტანდარტები, რომელიც შეიცავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახელმძღვანელო წესებსა და პრინციპებს.

ოცდაორმა სტუდენტმა წარმატებით დაასრულა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საზაფხულო სკოლა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამამ მხარი დაუჭირა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მე-14 საზაფხულო სკოლას, რომელიც 17-26 ივლისამდე მიმდინარეობდა. ათი დღის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 22 სტუდენტი გაეცნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას. ისინი ასევე მონაწილეობდნენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში.

საზაფხულო სკოლის მონაწილე სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დასწრებოდნენ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეული შემდეგი ოთხი ექსპერტის ლექციებს: Northwestern-ის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი **დანიელ როდრიგესი** და ასოცირებული პროფესორი **მეთიუ კუგლერი**, ასევე Georgetown -ის უნივერსიტეტის სამართლის ცენტრის მოწვეული პროფესორი **ქეროლაინ ფრედრიქსონი**, რომელიც ასევე იყო ამერიკის კონსტიტუციის საზოგადოების პრეზიდენტი (2009-2019).

მოწვეული ექსპერტების მიერ გაზიარებული ინფორმაცია მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის დროს ადამიანის უფლებების შეზღუდვის სტანდარტები; სასამართლო კონტროლის როლი ამერიკულ სისტემაში და კონსტიტუციის ინტერპრეტაციის საკითხები; და ფარული მიყურადების, მონაცემთა დაცვის, და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსებული პრაქტიკა შეერთებულ შტატებში.

სკოლის დასასრულს სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ **მერაბ ტურავამ**, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ბათუმის ჰაბის იურისტმა **ირინა ხახუტაიშვილმა** და საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის წარმომადგენელმა **გვანცა გედენიძემ**.

საზაფხულო სკოლის ოთხი საუკეთესო მონაწილე (**ლუკა ნიშნიანიძე, ირაკლი ჯოჯუა, მარია მძევაშვილი და გიორგი მელიქიძე**) სრულად ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან და საკონსტიტუციო სასამართლოში დასაქმდებიან.

საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სემინარი ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებისა და თანამშრომლებისთვის

30 ივლისს, ხაშურის რაიონული სასამართლოს თერთმეტი თანამშრომელი და სამი მოსამართლე, მონაწილეობდა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების (PCJ) სემინარში.

სემინარი იყო საინტერესო და კომპლექსური, როგორც ინტელექტუალურ, ისე პრაქტიკულ დონეზე. საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველმა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამაში, დოქტორმა **თიმ ბუნიევაცმა**, ისაუბრა PCJ-ის კონცეფციაზე, მათ შორის შესაბამის თეორიასა და შემუშავებულ მიდგომებზე და განიხილა სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან სასამართლოების ჩართულობის გაზრდის სტრატეგიები.

საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მენეჯერმა, **ოლიკო შერმადინმა**, წარმოადგინა PCJ-ის ბოლოდროინდელი ინიციატივები, რომლებიც დაინერგა საქართველოს სასამართლოებში USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის დახმარებით და მოიწვია მონაწილეები განეხილათ მსგავსი ინიციატივების დანერგვის შესაძლებლობები ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

ვებინარი მოსამართლეებისთვის პროცედურული მართლმსაჯულების, საზოგადოების ჩართულობისა და სასამართლო ხელისუფლების როლის შესახებ

21 ივნისს, ცამეტმა მოსამართლემ, სასამართლოს ორმა მენეჯერმა და ორმა ადმინისტრაციულმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში, რომელიც ეხებოდა სასამართლოს როლს სასამართლო-საზოგადოების ჩართულობაში და გულისხმობდა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების გაცნობას.

ლინდსი პრაის ჯექსონმა, პროგრამის უფროსმა მენეჯერმა სასამართლოს ინოვაციების ცენტრიდან (CCI), მონაწილეებს გაუზიარა საზოგადოებაზე ორიენტირებული პრაქტიკის სამი მაგალითი (პროცედურული სამართალი, ტრავმის შესახებ ინფორმირებული ზრუნვა, მიუკერძოებლობა) და ხაზი გაუსვა პროცედურული მართლმსაჯულების მთავარ

შემადგენელ კომპონენტებს, მათ შორის: ხმას, პატივისცემას, ნეიტრალიტეტისა და გაგებას.

დენიელ პუგმა, სასამართლო განათლებისა და ლიდერობის დირექტორმა CCI-დან, ისაუბრა საზოგადოების ჩართულობისა და რესურსების ათვისების კონცეფციებს შორის კავშირის დამყარებაზე; იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს სასამართლო ოპერაციები და კულტურა; რაში მდგომარეობს სასამართლოსა და სასამართლო მენეჯერების როლი საქმისწარმოების პროცესში პროცედურული სამართლის პრინციპების ინკორპორაციისას; და როგორ დავსახოთ სტრატეგია საერთო დაბრკოლებების იდენტიფიცირებისა და შესაძლო გამოსავლის პოვნის მიზნით, რაც დაეხმარება საზოგადოებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განხორციელებას სასამართლოში.

ვებინარის მთავარი მომხსენებლები იყვნენ მოსამართლე **მერი მედენი** მინესოტას მეოთხე სასამართლო ოლქის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოდან და ასოცირებული მოსამართლე **ენ მაკკეიგი** მინესოტას უზენაესი სასამართლოდან. მათ წარმოადგინეს სასამართლო-საზოგადოების ჩართულობის მაგალითები პრაქტიკაში და მონაწილეებმა გაიგეს, თუ როგორ გამოიყენა მინესოტას სასამართლომ მრავალკულტურული მოსმენის სესიები, რათა შეექმნა უფრო კულტურულად მგრძნობიარე სამართლებრივი სისტემა ყველა იმ თემისთვის, რომელიც ებრძვის ოჯახში ძალადობას.

ვებინარი გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლემ და ამავე სასამართლოს იურიდიულმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში თემაზე **გამოხატვის თავისუფლება - შეერთებული შტატების გადმოსახედიდან** (29 ივნისი - 1 ივლისი).

ვებინარს უძღვებოდნენ აშშ-ის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე **რობერტ საკი** და პროფესორი **ჯეისონ დესანტო**, ნორსვესტერნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის უფროსი ლექტორი. ვებინარი ფოკუსირებული იყო აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებაზე და მოიცავდა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილებების მიმოხილვას, რომლებიც უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს.

პროფესორმა დესანტომ და მოსამართლე საკმა ასევე მიმოიხილეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წამოჭრილი თემები, მათ შორის: უხამსობა, გამომწვევი რიტორიკა და ცილისწამება; თანამედროვე საინფორმაციო ეკოსისტემის გამოწვევები, როგორიცაა დეზინფორმაცია, ყალბი ამბები და სიძულვილის ენა; გამოხატვის თავისუფლების დაცვა პროტესტებისა და დემონსტრაციების დროს; და გამოხატვის თავისუფლება რეკლამაში, მათ შორის პოლიტიკური კამპანიებისას.

ამერიკული სამართლის ისტორიის განხილვამ და იურიდიული ცნებების ევოლუციამ, მონაწილეებს საშუალება მისცა გაეგოთ, თუ როგორ აანალიზებენ და წყვეტენ აშშ-ს სასამართლოები გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს. ვებინარის ფარგლებში ცალკე სესია მიეძღვნა მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებისა და სხვათა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების მიმოხილვას მოსამართლეთა მიმართ.

მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფმა მუშაობა დაიწყო

საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეებისგან შემდგარი გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკის ჯგუფის პირველი შეხვედრა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა (29-31 ივლისი).

შეხვედრამ საშუალება მისცა პრაქტიკის ჯგუფის 16 წევრს გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება გამოხატვის თავისუფლების საქმეებთან დაკავშირებით, გამოეკვეთათ მათ პრაქტიკაში არსებული ძი-

რითადი გამოწვევები და გაეაზრებინათ, თუ როგორ შეიძლება ამ საკითხების გადაჭრა არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში.

მოსამართლეებმა **შორენა ყაველაშვილმა, შოთა გეწაძემ, ქეთევან მესხიშვილმა** (თბილისის სააპელაციო სასამართლო), **ხათუნა ბოლქვაძემ** (ბათუმის საქალაქო სასამართლო) და **თამარ ლაკერბაიამ**

(თბილისის საქალაქო სასამართლო) ჯგუფს გაუზიარეს საკუთარი და სხვა სასამართლოების პრაქტიკა. შეხვედრას უძღვებოდა მოსამართლე **შორენა ჯანხოთელი** (თბილისის საქალაქო სასამართლო).

შეხვედრას ონლაინ შეუეერთდა Northwestern-ის უნივერსიტეტის (ჩიკაგო, აშშ) სამართლის სკოლის პროფესორი, **ჯეისონ დესანტო** და ისაუბრა მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებაზე და აშშ-ის გამოცდილებაზე მოსამართლეთა კრიტიკისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ. კითხვა-პასუხის სესიამ პრაქტიკის ჯგუფის წევრებს საშუალება მისცა მიეღოთ პასუხები პროფესორ დესანტოსგან მათთვის საინტერესო შემთხვევებზე და საკითხებზე.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამაში მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ:

- **გიორგი ჩხეიძე** – პროგრამის ხელმძღვანელი
- **ნილ ვაინსტაინი** – პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე
- **თიმ ბუნიევაცი** – საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მრჩეველი
- **ინგა თოდრია** – მართლმსაჯულების რეფორმის მრჩეველი
- **მამუკა მამაცაშვილი** – მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამის კოორდინატორი
- **ნინო ბალანჩივაძე** – იურიდიული განათლების და ადვოკატთა რეფორმის მრჩეველი
- **ოლიკო შერმადინი** – საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მენეჯერი
- **ირინა ხახუტაიშვილი** – რეგიონული ჰაბის იურისტი
- **ეკა ონიანი** – მართლმსაჯულების რეფორმის სპეციალისტი
- **მერი მახარაშვილი** – კომუნიკაციების სპეციალისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

5 მარჯანიშვილის ქ., 0102, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 250 54 04

ელ-ფოსტა: info.rolp@ewmi.org

ვებ-გვერდი: ewmi-ruleoflawgeo.org

ჩვენი სოციალური გვერდები: